12 ლექცია

თანამშრომლობის პროგრამა

თანამშრომლობის პროგრამა

- იმის გამო, რომ კარტელის გამოაშკარავება წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას კონკურენციის ორგანოებისათვის, შემუშავებული იქნა ე.წ. თანამშრომლობის პროგრამა, რომელიც გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს იმ ეკონომიკური აგენტებისათვის, რომლებიც ნებაყოფლობით ჩაერთვებიან ამ პროგრამაში.

შელავათები:

- პროგრამაში ჩართული ეკონომიკური აგენტი შეიძლება კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლდეს თუ იგი დააკმაყოფილებს შემდეგ კუმულატიურ პირობებს:

1. აღიარებს კარტელში მონაწილეობას
2. მიაწვდის ინფორმაციას კონკურენციის ორგანოს
3. ითანამშრომლებს კონკურენციის ორგანოსთან

ა) ალიარებს ამ კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“ ან „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შეთანხმებაში მონაწილეობას;

ბ) სააგენტოს ზეპირად ან/და წერილობით მიაწვდის მისთვის ცნობილ ინფორმაციას და, თუ შესაძლებელია – მტკიცებულებასაც, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების შესახებ, მანამ, სანამ ეს ინფორმაცია სააგენტოსთვის სხვა წყაროდან გახდება ცნობილი;

გ) საქმის მოკვლევის პროცესში უწყვეტად და შეუზღუდავად ითანამშრომლებს სააგენტოსთან.

7 მუხლი

ა) შესყიდვის ან გაყიდვის ფასების ან სხვა სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება);

ბ) წარმოების, ბაზრების, ტექნოლოგიური განვითარების ან ინვესტიციების შეზღუდვა;

გ) ბაზრების ან მიწოდების წყაროების მომხმარებლის, ტერიტორიული ან სხვა ნიშნით განაწილება;

დ) გარკვეული სავაჭრო პარტნიორების მიმართ იდენტურ ტრანზაქციებზე განსხვავებული/დისკრიმინაციული პირობების გამოყენება, რითაც ხდება მათი კონკურენციულად წაგებიან მდგომარეობაში ჩაყენება;

ე) გარიგების პირობად გარიგების მხარისთვის ისეთი დამატებითი ვალდებულების დაკისრება, რომელიც არც საგნობრივად და არც კომერციულად დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან;

ვ) მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე ურთიერთშეთანხმებული ეკონომიკური აგენტებისთვის ან სხვისთვის სატენდერო წინადადების შეთანხმებული პირობების დაწესება, რაც არსებითად ლახავს შემსყიდველი ორგანიზაციის კანონიერ ინტერესებს.

მუხლი 8.
კონკურენციის უმნიშვნელოდ შემზღუდველი ხელშეკრულება

1. ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვა არ ვრცელდება ეკონომიკურ აგენტებს შორის დადებულ ხელშეკრულებაზე, თუ:

ა) შესაბამის ბაზარზე ჰორიზონტალური ხელშეკრულების მხარეთა ერთობლივი წილი 10 პროცენტს არ აღემატება;

ბ) შესაბამის ბაზარზე ვერტიკალური ხელშეკრულების თითოეული მხარის საბაზრო წილი 15 პროცენტს არ აღემატება;

გ) ეს ხელშეკრულება მოიცავს როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური ხელშეკრულების მახასიათებლებს, რის გამოც რთულია მისი ჰორიზონტალურ ან ვერტიკალურ ხელშეკრულებად კლასიფიკაცია, და შესაბამის ბაზარზე ამ ხელშეკრულების თითოეული მხარის საბაზრო წილი 10 პროცენტს არ აღემატება.

2. **<u>ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებები არ გამოიყენება ამ კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში</u>**.

შელავათები არ ვრცელდება:

1. შეთანხმების ერთადერთ ორგანიზატორზე ან/და ინიციატორზე,
2. აგრეთვე იმ პირზე, რომელმაც სხვა პირებს შეთანხმებაში მონაწილეობა აიძულა.

პირი ვალდებულია

- თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილეობისას:

ა) შეწყვიტოს კანონსაწინააღმდეგო შეთანხმებაში მონაწილეობა, ან გააგრძელოს იგი მხოლოდ სააგენტოს თანხმობითა და მის მიერ მითითებული ვადით;

ბ) არ გაანადგუროს საქმისათვის მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია და მტკიცებულებები;

გ) არ გაამჟღავნოს ინფორმაცია თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე;

დ) კომპეტენციის ფარგლებში, დახმარება გაუწიოს სააგენტოს საქმის მოკვლევის პროცესში.

განაცხადი უნდა შეიცავდეს:

ა) განაცხადის წარმდგენი ფიზიკური პირის მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ფაქტობრივი მისამართი, ტელეფონის ნომერი, ხელმონერა);

ბ) პირის მონაცემები (სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, საფირმო სახელწოდება, საიდენტიფიკაციო კოდი, იურიდიული მისამართი, ელექტრონული ფოსტა და ხელმძღვანელი პირი);

გ) კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“, ,,გ“ ან ,,ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შეთანხმებაში მონაწილე სხვა პირების სახელწოდება და საიდენტიფიკაციო მონაცემები;

დ) კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“, ,,გ“ ან ,,ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეთანხმების დეტალური აღწერა, რომელიც მოიცავს:

დ.ა) იმ პროდუქციულ და გეოგრაფიულ ბაზარს, რომელსაც ამ შესაძლო კანონსაწინააღმდეგო შეთანხმებით მიადგა/ადგება ზიანი;

დ.ბ) შესაძლო კანონსაწინააღმდეგო შეთანხმების ხანგრძლივობასლ

ე) მტკიცებულებები სავარაუდო სამართალდარღვევის თაობაზე;

ვ) ინფორმაცია სააგენტოში ან სხვა ქვეყნის შესაბამის უწყებაში თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში მის მიერ წარდგენილი სხვა განაცხადების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

განცხადება პროგრამაში მონაწილეობაზე

- განაცხადს თან უნდა ერთოდეს მისი წარმდგენი ფიზიკური პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.
- სააგენტოში განაცხადის წარმოდგენა ხდება ინდივიდუალურად, კონკრეტული პირის სახელით.
- **<u>ორი ან მეტი პირის მიერ სააგენტოში განაცხადის ერთობლივად წარმოდგენის შემთხვევაში, განაცხადის წარმდგენ პირებს შეიძლება მიენიჭოთ მხოლოდ მესამე კატეგორია.</u>**
- პირი წერილობით განაცხადს სააგენტოში წარმოადგენს დანართი №1-ის შესაბამისად.

- პირს უფლება აქვს სააგენტოში ოფიციალური განაცხადის წარდგენამდე მიმართოს მას **ანონიმურად** და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია თანამშრომლობის პროგრამის შესახებ.
- განაცხადის მიღების შემდეგ <u>სააგენტო გასცემს წერილობით ცნობას მისი მიღების შესახებ, მიღების თარიღისა და დროის მითითებით</u>.
- სააგენტო განაცხადს იხილავს მისი შემოტანის დროის თანმიმდევრობით (შემოტანის თარიღის შესაბამისი რიგითობით).

პირველი კატეგორიის შელავათი

- პირველი კატეგორიის შელავათი გულისხმობს პირის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას **100%-ით**.

- პირველი კატეგორიის შელავათის პირობითი სტატუსი ენიჭება პირს, რომელიც რიგით პირველი შეიტანს განაცხადს სააგენტოში კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“, ,,გ“ ან ,,ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეთანხმებაში მონაწილეობის თაობაზე და **<u>მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია არ იქნება სააგენტოსთვის ცნობილი</u>**.

მეორე კატეგორიის შელავათი

- მეორე კატეგორიის შელავათი გულისხმობს პირის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას 20%-დან 50%-მდე

- მეორე კატეგორიის შელავათის პირობითი სტატუსი ენიჭება პირს, რომელიც რიგით მეორე შეიტანს განაცხადს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“, ,, გ“ ან ,,ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეთანხმებაში მონაწილეობის თაობაზე. ამასთან, მის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია იქნება განაცხადის შემომტანი რიგით პირველი პირის მიერ მოწოდებული **<u>ინფორმაციის შემავსებელი და ამავდროულად არ იქნება სააგენტოსთვის ცნობილი</u>**.

მესამე კატეგორიის შელავათი

- მესამე კატეგორიის შელავათი გულისხმობს პირის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას **20%-მდე**.

- მესამე კატეგორიის შელავათის პირობითი სტატუსი ენიჭება პირს, თუ ის არის რიგით მესამე და შემდეგი და ამ ნესის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული პირები, რომელიც(რომლებიც) შეიტანს განაცხადს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“, ,,გ“ ან ,,ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეთანხმებაში მონაწილეობის თაობაზე. ამასთან, მის მიერ მოწოდებული **<u>ინფორმაცია იქნება უფრო ადრე გაცხადებული ინფორმაციის შემავსებელი და ამავდროულად არ იქნება სააგენტოსთვის ცნობილი</u>**.